ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორების"

სხდომის ოქმი №5

ქ.ლანჩხუთი 24.12.2018 წელი

15.00 საათი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორები'-ს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი კარლო კვიტაიშვილი.

ფრაქციის წევრი: ალექსანდრე მახათაძე.

ფრაქციის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

15. 00 საათი

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: კარლო კვიტაიშვილი/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამულ დანართში, ბიუჯეტის პროექტისა და პრიორიტეტების დოკუმენტისაგან განსხვავებით, მოცემულია ლანჩხუთის 2019 წლის

ბიუჯეტით განსახორციელებელი პროგრამების და ქვეპროგრამების მოსალოდნელი შედეგების შეფასების ინდიკატორები. მასში წარმოდგენილია ის პროპრამები და ქვეპროგრამები, რომელთა დაფინანსებასაც ითვალისწინებს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი.

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებული იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა. მან აღნიშნა, რომ ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით 2019-2022 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

-ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;

-დასუფთავება და გარემოს დაცვა;

-განათლება;

-კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

-მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

-მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

განკარგულების პროექტზე ფრაქციის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 2, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა: ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა კარლო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ ქალაქის შიდა გზები საჭიროებს ორმოვან შეკეთებას, აგრეთვე თავისუფლებისა და მარქსის ქუჩების კვეთაში შესაკეთებელია ცხაური.

ამით ფრაქციამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება–კონსერვატორები"-ს

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: კარლო კვიტაიშვილი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორების " წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24. დეკემბერი **2018** წელი
11 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გოგი მორჩილაძე	12 ეძინებოდა	
2	კარლო კვიტაიშვილი	14 55	
3	ალექსანდრე მახათაძე	14 57	